ამხანაგებო! მე უკვე ვთქვი, რომ ხალხმა, პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ინტელიგენციისა არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს. ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციის მაგალითის მიხედვით.

თქვენ კარგად იცით, რომ რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება.

ქართველი მენშევიკების—ხალხის ინტერესების ამ ანაზღარი გამცემლების — ბატონობის პერიოდში არა თუ არ შეუწყო ხელი სპეციალურის განვითარებას, არამედ საბოლოოდ განადგურა ის მცირე მეცნიერებაც, რომელიც მეფის თვითმპყრობელობისაგან იყო მიღებული.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებასთან ერთად, იწყება ნაციონალური კულტურის აყვავება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ერთისამად გაიზარდა სამეცნიერო და დაწყებითი სკოლების რაოდენობა, ხოლო მათში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა ერთიათბად. მეწმენიკების დროს გაიხსნა და ძლევსძლეობით ბოგინობდა თბილისის უნივერსიტეტი — საქართველოში ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უმთავრესად მოსწავლეთაგან შემოსული ფულით არსებობდა, რამაც განსაზღვრა სტუდენტთა თავადაზნაურული - მემამულური, ბურჟუაზიული შემადგენლობა.

ამჟამად კი საქართველოში არის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 22 ათასზე მეტი სტუდენტი —მეშენიკნი, ბლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის შვილები.

ფართოდ გაიშალა აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი. მეცნიერების განვითარებაზე ჩვენში ყოველწლიურად ათეულ მილიონს მანეთობნი იხარჯება.

ოუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეცნიერ მუშაკთა რიცხვი ფასდებოდა რამდენიმე ათეულს არ აღიმატებოდა, ამჟამად საქართველოში ვეგავა სამასზე მეტი პროფესორისა, 700-ზედ დოცენტი და ათასამდე სხვა მეცნიერი მუშაკი. (**ტაში**).

ფართოდ არის ცნობილი ჩვენი მეცნიერების - პროფესორების ივანე **ჯავახიშვილის, ნიკოლოზ ბერიკაშვილის, ივანე ბერიკაშვილის, ალექსანდრე ჯანელიძის, ალექსანდრე თავალჩოქელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას, კონსტანტინ ერისთავის, ალექსანდრე მაჭავარიანის, გიორგი მუსხაძის, ალადაშვილის** და სხვათა სახელები (**მქუხარე ტაში**).

აყვავდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა, გაიზარდნენ საბჭოთა მწერლებისა და პოეტების კადრები. საქართველოს მშრომელებისათვის ქარგად ცნობილია **შ. დადიანის, ს. ჩიქოვანის, ა. მაშაშვილის. გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის. დ. შენგელაიას, კ. ლორთქიფანიძის, ა. აბაშელის** და სხვათა სახელები. (**ტაში**).

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს თავისი თეატრებით და აქტიორიერეკისორთა კადრებით, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გაიზარდნენ. არტისტებმა, რეჟისორებისა და კომპოზიტორებმა: **ა. ხორავა, ა. ვასაძის, ღამბაშიძის, თ. ჭავჭავაძის, წუწუნავას, ამირანაშვილის, სოხაძის,

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიმართვა

პროფესიული კავშირების ყველა წევრს, ყველა მუშას, მუშა-ქალებს, მოსამსახურეებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მასწავლებლებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებს

ამხანაგებო!

1937 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, სოციალისტური კონსტიტუციის საფუძველზე, აირჩევენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს. პროფესიული კავშირები, ისე როგორც უპარტიოთა სხვა ორგანიზაციები და საზოგადოებანი, არჩევნებში გამოდიან სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიასთან (ბოლშევიკების) ბლოკში, კავშირში.

საარჩევნო ოლქებში რეგისტრირებული უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები როგორც კომუნისტები, ისე უპარტიოებიც, დასახელებული არიან ჩვენი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით. ჩვენ მივესალმებით ბოლშევიკური პარტიისა და უპარტიოთა ბლოკს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში და მოვუწოდებთ პროფესიული კავშირების ყველა წევრს, ყველა მუშას, მუშა-ქალებს და მოსამსახურეებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მასწავლებლებს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს ერთსულოვნად, როგორც ერთმა კაცმა, მისცენ ხმა ბოლშევიკთა პარტიის, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

რატომ არის, რომ ჩვენი ორგანიზაციები მთლიანად უჭერენ მხარს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას და რატომ მოვუწოდებთ ჩვენ ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში?

ჩვენ მხარს ვუჭერთ ბოლშევიკების პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას იმიტომ, რომ ბოლშევიკების პარტიის სახით ჩვენ ვხედავთ ჩვენს ნაკად ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს, იმიტომ, რომ მხოლოდ ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობის მეოხებით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მოიპოვეს თავისთვის ახალი ბედნიერი ცხოვრება, მიაღწიეს სოციალიზმის გამარჯვებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაში ბატონობდნენ მემამულეები და კაპიტალისტები. ცხოვრების ყოველი სიკეთით სარგებლობდნენ ერთი მეუა მდიდრები. იმას კი, ვინც მუშაობდა, ვინც შრომობდა, ვინც ჰქმნიდა ყველა სიმდიდრესა და ღირებულებას, იმას არ ჰქონდა არაფერი, მშიერი და ღატაკი იყო. მთელი პოლიტიკური უფლებები მხოლოდ მდიდრებს ეკუთვნოდათ. მშრომელნი უუფლებონი იყვნენ.

ბოლშევიკების პარტიამ მოაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. მან წაიყვანა მუშათა კლასი კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთაშორო და სამუდამოდ გაანთავისუფლა ჩვენი სამშობლოს მშრომელნი ექსპლოატაციის უღლისაგან. კაცობრიობის ისტორიაში პირველად გახდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონებად თვით მუშები და გლეხები.

ბოლშევიკურმა პარტიამ მეფის ძველი რუსეთი, სიბნელისა და უმეცრების, შეურაცყოფისა და ბრალდამიანური ჩაგვრის ქვეყანა გადაქცია ხალხთა ძმური თანამეგობრობის ქვეყნად, სოციალიზმის ქვეყნად, ისეთ ქვეყნად, რომლისაც არ იცის სიღატაკე და უმუშევრობა, ისეთ ქვეყნად, სადაც თვითეული დღეს მოაქვს ახალი სიხარული, ბედნიერი ცხოვრების ახალი აყვავება.

ჩვენი საზოგადოების ურყევ საფუძველს წარმოადგენს სოციალისტური მრეწველობა და სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

აღარ არიან კაპიტალისტები. ქვეყნის მთელი სიმდიდრე ხალხს ეკუთვნის. ჩვენს ქვეყანაში შრომა სათაკილო საქმიდან გახდა ღირსების საქმე, სახელის საქმე, გმირობისა და სიმამაცის საქმე. მუშათა მილიონები მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხნებსა და ფაბრიკებში იზრდება და ვითარდება სახელოვანი სტახანოვური მოძრაობა, რომელიც მოწინავე ტექნიკის დაუფლების სასწაულებს გვიჩვენებს.

ყოველივე ამას ჩვენ მივაღწიეთ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის მეოხებით.

აი რატომ არის, რომ პროფესიული კავშირები და მშრომელთა ყველა ორგანიზაცია და საზოგადოებანი იწონებენ და მხარს უჭერენ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას. აი რატომ მოვუწოდებთ ჩვენ პროფესიული კავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყველა წევრს, ყველა მუშასა და მოსამსახურეს ერთსულოვნად მისცენ ხმა ბოლშევიკთა პარტიას, ბოლშევიკური პარტიისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

მეფის რუსეთში მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება მშრომელთათვის მიუწვდომელი იყო. კაპიტალისტური წყობილება ვასაჭანს არ აძლევდა შემოქმედებითს აზროვნებას, სთელავდა და ახშობდა ხალხის ტალანტებს. საბჭოთა ხელისუფლებამ და ბოლშევიკურმა პარტიამ განახორციელეს ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო სავალდებულო სწავლება, მოსპეს ათეული მილიონობით მოზრდილ ადამიანთა წერა-კითხვის უცოდინარობა, წერა-კითხვის მცოდნე გახადეს ჩვენი ქვეყანა. სსრ კავშირის თვითეული მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია განათლების უფლება. სასწავლებლის კარები ფართოდ არის გაღებული მშრომელთათვის. შექმნილია ათეული ათასობით კლუბები, კინოთეატრები და სხვა კულტურული დაწესებულებანი. ჩვენს ქვეყანაში გამოდის დიდძალი წიგნები და გაზეთები, რომელნიც მშრომელთა მასებს ზრდიან კომუნიზმის სულისკვეთებით. ხალხის ულრმესი წიაღიდან განუწყვეტლივ გამოდიან ნიჭიერი ადამიანები, რომელნიც გარემოკულნი არიან ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით.

მუშათა კლასმა აღზარდა თავისი საკუთარი ინტელიგენცია, რომელიც ემსახურება ხალხის საქმეს, სოციალიზმის საქმეს და სარგებლობს პატივისცემით. ჩვენმა ინჟინრებმა, აკადემიკოსებმა, მწერლებმა, მხატვრებმა, არქიტექტორებმა, მთელმა საბჭოთა ინტელიგენციამ პირველად ისტორიაში მიიღეს შესაძლებლობა აწარმოონ თავისუფალი და შემოქმედებითი მუშაობა, შეაქებნან და აშენონ ხალხის ინტერესებისათვის. ბოლშევიკურმა პარტიამ გამოიყვანა ჩვენი ქვეყანა წყვდიადიდან და უმეცრებიდან და მიჰყავს იგი ადამიანთა კულტურის მწვერვალებისაკენ.

ქალი მეფის რუსეთში ორმაგად იყო დაჩაგრული, როგორც იგი დაჩაგრულია ახლაც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. მარტო სსრ კავშირში არის იგი თავისუფალი და თანასწორუფლებიანი. ჩვენი ქალები—მუშა-ქალები, კოლმეურნე-ქალები, მოსამსახურეები, დიასახლისები აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათ უკავიათ უაღრესად თვალსაჩინო სახელმწიფო პოსტები. ჩვენში სახელმწიფოს განსაკუთრებული სიყვარულითა და მზრუნველობით სარგებლობს ქალი-დედა. საბჭოთა ხელისუფლებამ შეაქმნა მსოფლიოში ერთადერთი სისტემა დედათა და ბავშვთა დაცვისა.

აი რატომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი აქტიურად უჭერს მხარს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას. აი რატომ არის, რომ პროფკავშირებისა და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებისა და საზოგადოებების ყველა წევრი ერთსულოვნად მისცემს ხმას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგებო!

მეფის რუსეთში მშრომელთა ორგანიზაციებს ყოველნაირად სდევნიდნენ. მუშათა კლასს პროფესიულ კავშირებში გაერთიანებაც კი ჰქონდა აკრძალული. მშრომელთა გაერთიანების ყოველგვარ ცდას მძვინვარედ ახშობდნენ. საბჭოთა ქვეყანაში კავშირები თავისუფლია. ჩვენს ქვეყანაში პროფესიული კავშირები წარმოადგენენ მუშათა კლასის ყველაზე მასობრივ ორგანიზაციას. საბჭოთა პროფესიულ კავშირებში გაერთიანებულია 22 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე. საბჭოთა ხელისუფლებამ პროფესიული კავშირების ხელში გადასცა მუშათა კლასის ცხოვრების გაუმჯობესების ისეთი მძლავრი ბერკეტები, როგორიცაა სახელმწიფო სოციალური დაზღვევა. უდიდესია დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების და საბავშვო დაწესებულებათა ქსელი. ჩვენს პროფკავშირებს დაკისრებული აქვთ კონტროლი შრომის დაცვისა და უშიშროების ტექნიკის კანონების განხორციელებაზე.

აი რატომ არის, რომ პროფესიული კავშირები და მშრომელთა ყველა ორგანიზაცია და საზოგადოებანი მხარს უჭერენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას. აი რატომ მოვუწოდებთ ჩვენ პროფესიული კავშირების ყველა წევრს, ყველა მუშასა და მოსამსახურეს ხმა მისცენ ბოლშევიკური პარტიის, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

რაც უფრო შორს მივდივართ გამარჯვებათა გზით, მით უფრო მეტი სიძულველით გვეკიდებიან მტრები. კაპიტალისტური სამყარო, რომელიც ორი ერთიანი ცდილობდა შეემუსრა სსრ კავშირის ძალები და ძლიერება, თავს არ ანებებს ახალი მუხანათობის მოწყობას მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. იაპონია-გერმანიის ფაშიზმის საზიზღარი ტროიკისტ-ბუხარინელი აგენტები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები ყველაზე საზიზღარ ბოროტმოქმედებებს სჩადიან, რათა ძირი გამოუთხარონ სსრ კავშირის ძლიერებასა და მის თავდაცვისუნარიანობას, რათა ყოველნაირად ავნონ და ზიანი მიაყენონ მუშებსა და გლეხებს. საბჭოთა ხელისუფლებამ შეუბრალებლად გაანადგურა და იგი ბოლოდ მოსპობს ხალხს ყველა მტერს.

ბოლშევიკური პარტიის სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით, რომელმაც უზრუნველყო ჩვენში დამსჯელი ორგანოების საბრძოლო მუშაობა, ჩვენი წითელი არმიის მზარდი ძლიერება და საბჭოთა ხელისუფლების ბრძნული საგარეო პოლიტიკა, საბჭოთა ხალხს ახლა აქვს ყველა საშუალება იმისათვის, რომ გაანადგუროს მტრის ძალები, ფაშიზმის ბანდები, თუ ისინი შეეცდებიან თავს დაესხან ჩვენს სამშობლოს.

აი რატომ არის, რომ პროფესიული კავშირების ყველა წევრი, ყველა მუშა და მოსამსახურე მთლიანად უჭერენ მხარს სტალინური ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას. აი რატომ მოვუწოდებთ ჩვენ ყველა მშრომელს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგო მუშებო, მუშა-ქალებო, მოსამსახურეებო, ინჟინრებო, ტექნიკოსებო, მასწავლებლებო, მწერლებო, არქიტექტორებო, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებო!

საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასი და ყველა მშრომელი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე მიდიან იმის შეგნების სიამაყით, რომ თავიანთ წარმატებებს ისინი უნდა უმადლოდნენ ბოლშევიკთა გმირულ პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას. ბოლშევიკური პარტია დაურღეველი ძაფებით არის დაკავშირებული მშრომელთა ფართო მასებთან. მას არ ჰქონია და არცა აქვს სხვა ინტერესები, გარდა მშრომელთა ინტერესებისა. მას არ ჰქონია და არცა აქვს სხვა პოლიტიკა, გარდა იმ პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავებისაკენ, მისი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო მოგიწოდებთ თქვენ

შეთანხმებულად და ერთსულოვნად მისცეთ ხმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ავირჩიოთ უზენაესი საბჭოს დეპუტატებად ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილები და ქალიშვილები, პარტიულები და უპარტიოები, რომლებმაც თავიანთი თავდადებული მუშაობით და სოციალიზმის გამარჯვებისათვის და ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლით დაიმსახურეს მშრომელი მასების ნდობა.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს

1937 წლის 12 დეკემბერს გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებზე კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების ასარჩევად.

თვითეული ამომრჩეველის წინდა მოვალეობაა — გამოიყენოს თავისი უფლება საბჭოთა სახელმწიფოს უზენაეს ორგანოებში დეპუტატთა არჩევისა.

ამხანაგებო!

გადავაქციოთ 1937 წლის 12 დეკემბრის დღე შრომის ზეიმის დღედ!

ყველანი არჩევნებზე!

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს ჩვენს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს მუშურ - გლეხურ წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა კავშირს საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს მომავალ არჩევნებში!

გაუმარჯოს სრულიად - საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) — ლენინ - სტალინის პარტიას!

პროფესიულ-კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბელგაზის შიერ უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის გამოცემული პლაკატი

სიცოცხლე მართლა სიხარულია

ილო მოსაშვილი.

ჩემო სამშობლოვ, როგორ მალაღებ,
ყველგან სიამით სავსე გულია,
შევხედავ შენს ცას, სოფლებს, ქალაქებს,
მწიფე ყანებს და რძიან ბალახებს, —
სიცოცხლე მართლა სიხარულია.

მოვა მნათობი ყოვლის მშობელი,
გავახელ თვალს და მიერა მინდება,
დილა, ბედნიერ ამბის მოხარობელი,
როგორც ფრინველი მახარობელი,
ჩემს ქვეყანაში შემოფრინდება.

გაალეთ კარი, რა ხალისია,
სიზმარია თუ ნატერა ცხადდება,
ცაზე არც ბინდი და არც ნისლია
და ეს დეკემბრის დილა ისეა,
როგორც ახალი მზის დაბადება.

გაალეთ კარი, გახსენით გული,
ჩვენთვის მოსულა ეს მზეც და დროცა,
მას მივცეთ ხმებიც და სიყვარულიც,
ვინც მოგვეტანა ეს სიხარული
და ბედნიერი სამშობლო მოგვცა.

ვინც თავდადებულ ბრძოლაში მტერთან
სჩიდდა შრომელთა გმირულ პარტიას
და, ჩვენი ქვეყნის გმირებთან ერთად,
თბილს უკვდავი მარჯვენით სწერდა
გამარჯვებული ხალხის ხარტიას.

ვუთხრათ მადლობა, დე იყოს მისი
ჩვენი გული და ჩვენი გონება
და საერთო ხმა სამშობლო მიწის,
როგორც საქეფენო სიტყვა და ფიცი,
მას მიეტანოს მილიონებმა.

მას მიეუტანოთ — საყვარელ ბელადს -
ქალმის, რკინის და მიწის მგოსნებმა,
რადგან საბჭოთა მხარეში ყველას
ცხადად გვიქცია ტკბილი ოცნება.

უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრა მნეარეებთან

ამ საღამოს, 8 დეკემბრის საღამოს მწერალთა სიტყვები განსაკუთრებით მგზნებარე და მახვილი იყო.

საღამო მწერალთა სასახლის სხდომების დარბაზში მიმდინარეობდა.

დარბაზი სავსე იყო მწერლებით, მათი ოჯახის წევრებით, სალიტერატურო და საგამომცემლო ორგანიზაციების თანამშრომლებით.

ეს აუდიტორია პრეზიდიუმს მაგიდასთან პირველად ხედავდა ორს ადამიანს, ახალგაზრდა ქალსა და ვაჟს, ხოლო ერთი ჯაჭარა თმიანი წარმოსადეგი გარეგნობის მოხუცი ამ საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი და შინაური ადამიანი იყო.

უცხო და უცნობი არც ამ დარბაზში პირველად მოსული ქალ-ვაჟი გამოდგა.

ბევრს აქ მყოფთაგანს პირადათ არცერთი მათგანი არ ენახა, მაგრამ ყველამ იცნო ორივე მაშინვე, როგორც კი ისინი დარბაზში შემოვიდნენ, რადგან ამ ერთი თვის განმავლობაში მათ სახეებს უმზერენ ყველგან: მრავალი სახელწოდების და მრავალათასიანი ტირაჟის გაზეთების და ჟურნალების ფოტოკლიშეებზე, დაწესებულებებში, კლუბებსა, თეატრებსა, ტრამვაის ვაგონებში გაკრულ პლაკატებზე და სურათებზე. მათი სახელი ესმოდათ. ყველგან — საარჩევნო კრებებზე, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე.

ამიტომ არცერთ დამსწრეთაგანს არ გაძნელებია მათი გამოცნობა. მჭეხარე ტაში და მისასალმელი შეძახილები ცხადყოფდნენ, რომ მწერლობა აღფოთოვანებით ეგებებოდა ჩვენი დიდებული ერის სამი საარჩევნო ოლქის სადეპუტატო კანდიდატებს — ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილებს — **შალვა დადიანს, ეთერი მაზნაშვილს, სერგო იშხანოვს.**

კრება გახსნა **ამხ. სანდრო ეუფამ.** ერთი მეორეზე სიტყვებს ამბობენ მწერლები. ორატორები ახასიათებენ კანდიდატებს, გამოსთქვამენ თავიანთ აზრს მათ მოღვაწეობაზე, მათ წარსულ ცხოვრებაზე. მათ ადამიანურ და მოქალაქეობრივ ღირსებებზე.

ეთერიანი და სერგოს აღზრდის, მათი წინსვლის. მათი შრომისა და ბრძოლის დაწვრილებითი ამბებით ავსებენ მწერლები იმ მანძილს, რომელიც ეთერი მაზნაშვილმა მწყემსობიდან სტახანოველობამდე, ხოლო სერგო იშხანოვმა ტრამვაის კონდუქტორობიდან კიროვის რაიონის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობამდე გაიარა.

თავდადება მშრომელი ხალხისათვის, სოციალიზმის საქმისათვის, უსაზღვრო სიყვარული პარტიისა, სოციალისტური სამშობლოსა და დიდი ბელადის ამხანაგი **სტალინისადმი,** სიმტკიცე, შეუპოვრობა, შეურიგებლობა ხალხის მტრებთან ბრძოლაში, გულთბილობა და თავმდაბლობა ყოველი მშრომელისადმი,—აი რა ახასიათებდა და ახასიათებს მათ, აი რა თვისებები აღზარდა მათში ლენინ - სტალინის პარტიამ. მათი ცხოვრება, შრომისა და ბრძოლის წარმტაცი მომენტებით სავსე ცხოვრება, თავდებია იმისა, რომ ჩვენი კანდიდატები გაამართლებენ ხალხის ნდობას, რომ ისინი იქნებიან ჩვენი მშრომელთა ღირსეული დეპუტატები. დე ჩვენი ხმები ერთსულოვნად და უკლებლად შეუერთდეს იმ ათასობის ხმებს, რომლებიც **შალვა დადიანს, ეთერი მაზნაშვილს** და **სერგო იშხანოვს** ჩაბარებენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის მანდატებს — ამ მოწონებით ამოვარჩევენ თავიანთ გამოსულებს — **ს. ეუფლ, ს. შანშიაშვილ, კ. გამსახურდია, შ. რადიანი, ი. ლისაშვილი, ს. კალდ.-შვილი, ალ. გომიაშვილი, რ. ქორქია.**

თავიანთ საპასუხო სიტყვებში საქართველოს დედაქალაქის მშრომელი მასების კანდიდატებმა გამოსთქვეს ულრმესი მადლობა ნდობისათვის და აღუთქვეს ამრჩეველთა აუდიტორიას რომ თავიანთი თავდადებული მუშაობით, როგორც საბეჭურნეო და კულტურულ ფრონტზე, ისე დეპუტატობის პოსტზე გაამართლებენ იმ უსაზღვრო სიყვარულს და გულწრფელ პატივისცემას, რომელიც მათდამი ტფილისის მშრომელებმა გამოიჩინეს.

საამაყო სტუმრების - პატივსაცემად პოეტებმა **იოსებ გრიშაშვილმა, სოლომონ თავაძემ, ალიო მაჭაშვილმა, სანდრო ეუფამ** წარმოსთქვეს დიდი ბელადისადმი, ორდენოსან საქართველოსა და არჩევნებისადმი მიძღვნილი ლექსები.

უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრა საბჭოთა მწერლებთან იყო მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილების და საბჭოთა ინტელიგენციის პოლიტიკურ-მორალური ერთიანობის მაჩვენებელი ერთ-ერთი შესანიშნავი და უფაფარი ფაქტი.

ხმას ვაძლევ

ირაკლი აბაშიძე

მე ხმაც და ენაც — ჩემი არჩევი
მომცა საბჭოთა მზემ და ყანებმა,
მას შევეზარდე მე მხრებ-გაშლილი,
მან დამიმტკიცა სრულწ�ოვანება.

შემდეგ მე ამ ხმას ჰანგად გავძახი
ჩემი სამშობლოს მთად და ველადა:
ეს ხმა — კაცობის პირველ გაზაფხულს
მე მისახსოვრა დიდმა ბელადმა.

მითხრა: — ამ ხმაზე ქვეყნებს გასძახე,
როგორ იხარეს ჩვენმა ერებმა,
შენ გაჰყიჟინე, ვაჟო, ამ ხმაზე
შენი სამშობლოს ბედნიერება,

სთქვი — საყვარელი შენი მიდამო
როგორ წუნდა და მტარვალს მონობდა,
სთქვი — რა ვიღონეთ, რომ სამუდამოდ
შენ და შენს ტოლებს ეს ხმა გქონოდათ.

გასწი, ატარე და თუ ვარგოდე
ჰანგად შეკარ და ხალხიც იამებს
და არჩევნებში მიც მარტოდენ
ქვეყნის საყვარელ ადამიანებს.

და ჩავიბარე ხმა სახსოვარი
ჩემთვის სიმღერა, მტრისთვის ეზარი.
ოგი მთა-ბარად სჩქარს და ხმოიანებს,
ის არჩევნებში ბელადს არი.

ბედნიერება სხვა რომ სად არი
სრულხმოვანი და ათას ფერადი;
ამავ ოლქის ვარ მეც ბანადარი
სადაც კენჭს იყრის დიდი ბელადი.

მისი ოლქია — მდიდრად გაშლილი
ბაზები, ჩმელეთი, ზღვაც და პოეტიც.
მისი ოლქია — ხალხთა კავშირი
ჩვენი ერების და საბჭოეთი.

ავირჩიოთ უზენაესი საბჭოს დეპუტატებად ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილები, პარტიულები და უპარტიოები, რომლებმაც თავიანთი თავდადებული მუშაობით და ერთგულებით ლენინ-სტალინის პარტიისადმი დაიმსახურეს მშრომელი ხალხის ნდობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის სურათი თავისუფლების მოედანთან

დავით გაჩეჩილაძე

არხეინ ნიავი დრო შების ანძებს,
ვარდის ფერია ჩემს ფანჯარაში.
ეხიდავ — მშობელი ურო თბილისის თავზე,
დადგა ბელადი რუხი ფარაჯით.

ეხიდავ და მიყვარს თოვლის ფანტელიც,
როცა ეხება ფარაჯის კალთებს...
ის ჩვენი ქვეყნის არის ნათელი,
და ჩაუქრობელ იმედით გვანთებს.

ის არის თვალი—გზების მნახველი.
დაჯილდოებული სიბერძნის ხატება,
ხალხის იმედი, ხალხის სახელი
და სიხარულის გამოცხადება.

ის ყველგან არის, ყველგან მოვიდა...
გზაში დროშები მოაქეს მორბედებს,
და სპეჩოეთის ალეონიდან
მოდის დეკემბრის დღეც მეთორმეტე.

მოდის... სტრიქონი ელვებლად ანთია,
ბრწყინავს, ქანაობს ჩემს ფანჯარაში:
— შეხედეთ. ჩვენი დეპუტატია,
თავზე რომ გვადგას რუხი ფარაჯით.

რომ დაგვიწერა ქარტია ვრცელი,
თავისუფლებით ხალხებს განაგებს;
მან ეს ეპოქა ეფაკიერო ხელით
აზიდა, აგებს სოფლებს, ქალაქებს.

მან მოიტანა ქვეყნად ნათელი,
ის ჩაუქრობელ სანთლებს ანთებს,
და როგორ გვიყვარს თოვლის ფანტელიც,
როცა ეხება ბელადის კალთებს.

დღეს ვეფარ ნახოთ წარსულის ჩეროც,
რომ აიკვამლა ოცი წლის უკან...
ოცი წელია, სამშობლოვ ჩემო,
რაც ოქტომბერის მზემ დადაშუქა.

ხალხის გმირობით აღსდგა, ფერადობს
გაბრწყინვებული შენი მთაბარი;
შენ დასახლეს, დიდო ბელადო,
ხალხი მარადის მიესადარი.

შენ დაფრქვევ სიბრძნის სინათლე,
შენ საბჭოეთის ეს ხარ მზიანი,
დაამინებრი ქვეყნად სიმართლე,
შენი ბრძოლების თანაზიარი.

შენ სიყვარულით გადვიხსენ გული,
ჩვენც სიყვარულით ხმას გაძლევთ მნათობს...
დე ჩვენი მზარე, განდიდებული,
სახელგანთქმულმა ბელადმა მართოს.

დღეს სამშობლოში არვინ დაზარდეს,
დაფეს დაჭკარით, სიმღერად ვიქცეთ...
დიად სტალინს გმირეს ნაზარდებს,
გულით გამბარი ჩვენი ხმა მივეცეთ.

დაფეს დაჭკარით... დღეს ღონი გვმართებს...
ხედავთ? ლაყვარდეც ოქროსფერია...
ჩვენი ხმა მივეცეთ სტალინელ ქართველს,
ჩვენს მოამაგეს, ვაჟკაცს ბერიას!

ყოთთან მოვსულვართ ფუმინდეს გრძნობით,
ხმა არის ფიქრის გამომსახველი,
ძმებო, აგირჩევთ და მოგენდობით,
ვინც მოიხეჩეთ გმირის სახელი.

ამღერდა ხალხი, მოდის, ადიდა,
გზაში დროშები მოაქეთ მორბედებს,
და საბჭოეთის განთიადიდან
ბრწყინავს დეკემბრის დღე მეთორმეტე.

არხეინ ნიავი დროშების ანძებს,
ვარდის ფერია ჩემს ფანჯარაში,
და მშობლიური ქალაქის თავზე,
მოჩანს ბელადი რუხი ფარაჯით.

მწერალი და მოქალაქე

სერგო კლდიაშვილი

საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის ისტორია სავსეა ბრძოლითა და თავგანწირვით. ამ მოწინავე ადამიანებს უხდებოდათ ყოველგვარი ძნელი და შავი სამუშაოს შესრულება, რომ გადაეჩინათ ხალხი გადგგვარებისაგან, ყოველივე იმისათვის, რაც დღეს უბრალო საქმედ მოგვაჩნია, ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინათ საჭირო იყო ბრძოლა. ქართული წიგნის გამოცემა, ჩვეულებრივი საღამოს ან წარმოდგენის გამართვაც კი აღინიშნებოდა როგორც დიდი მიღწევა და მონაპოვარი. დღეს კი ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების დროს უკვე გვაქვს შობლიური უნივერსიტეტი, აკადემია, თეატრი, რამდენიმე გაზეთი! დღეს ხალხი — პარტიისა და ხელისუფლების მეთაურობით თვით სუქდავს თავის აწმყოსა და მომავალს. ოციოდე წლის წინად? მთელი გულით უნდა ჰყვარებოდა ხალხი, ერთხელდასამუდამოდ ხელი უნდა აეღო პირად ბედნიერებაზე იმას, ვინც მოწოდებული იყო ემსახურნა ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობისთვის.

ამ მებრძოლთა რიცხვს შალვა დადიანიც ეკუთვნის.

მისი ცხოვრება საყურადღებოა. მისი ცხოვრება ეკლით იყო მოფენილი. მაგრამ ახლა, როცა ის გაიკაფა, განვლილი გზა ჩვენს თვალში ფეერიულ სანახაობად მოსჩანს. თეთრი თმით დამშვენებულ ამ ლამაზ ადამიანს მოგალითის მეკეცი წარსული აქვს. მისი ბედნიერება კიდევ ის არის, რომ ორმოცი წლის მოღვაწეობის შემდეგ ის არა თუ მოიღალა, პირიქით, როგორც არასოდეს ნაყოფიერი გახდა. ისეთი ადამიანები, როგორიცაა შალვა დადიანი, ასე ადვილად არ ხუდებინან.

დარწმუნებული ვარ, შალვა დადიანი კმაყოფილებას გრძნობს, როცა განვლილ ცხოვრებას გადახედავს.

უზრუნველი და ბედნიერი არ ჰქონია ის. პირიქით, წარსულიდან მოგონდება, ალბათ, მხოლოდ ბრძოლა ბრიალ დაბრკოლებასთან და გაჭირვებასთან. მაგრამ დადიანს კმაყოფილება და ბედნიერება ის არის, რომ ყოველი დღე მან გაატარა აზრი ანაც, სამშობლოსადმი სიყვარულით მუდამ ფეთქავდა მისი გული, და წმინდად მოატარა ის დღემდე.

შალვა დადიანის მამას, ცნობილ სწავლულს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ნიკო დადიანს, რასაკვირველია, საშუალება ჰქონდა ერთადერთი ვაჟი სასწავლებელში მიეგზავნინა. მაგრამ ის მაინც არ მოიქცა ასე. ნიკო დადიანს სწამდა, რომ სკოლა, რომელსაც თვითმპყრობელობა პატრონობდა, გონებრივად და ზნეობრივად დაუმახინჯებდა შვილს. მან შეგნებულად აარიდა შვილი იმ სკოლას; და თვით იკისრა მისი აღზრდა. იქნებ გაზვიადებული გეჩვენოთ ამ სწავლული კაცის ასეთი ახირებული შიში, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამის საფუძველი არ ჰქონდა? ერთი კი ცხადია, მან ჩაუნერგა და შეუნარჩუნა თავის აღზრდილს მაღალი რწმენა და სულიერი სიწმინდე და ასეთი გაუშვა ცხოვრების გზაზე.

მაგრამ ერთი რამ ვერ განსაზღვრა მოხუცმა სწავლულმა, ერთ რამეში არ გაუმართლდა იმედი: შვილს ამზადებდა ის ვიწრო მეცნიერულ, კაბინეტურ მუშაობისათვის, შვილი კი, დავაკვაკცდა თუ არა გაიქცა კაბინეტ,ან და ხარბად დაეწაფა ცოცხალ ცხოვრებას, მის ყოველდღიურობას.

წინააღმდეგ თავისი წარმოშობისა (ვან თავის წრეს ჯერ კიდევ მაშინ გაეწია სილა და უწოდა „გუშინდელნი“, როცა ის მდგომარეობის ბატონ-პატრონობას იჩემებდა), წინააღმდეგ ბრწყინვალე საზოგადოებისა, ის ახალგაზრდა კაცი ცხოვრების შუაგულში შეიჭრა და ხალხში დატრიალდა.

ამ დღიდან მან იცის მხოლოდ ერთი ბედნიერება —ხალხს ემსახუროს. რეაქციის ყველაზე უფრო შავბნელ წლებში შალვა დადიანმა დასწერა პიესა „როს ნდიმობდნენ“, სადაც გაბედულად დასვა სოციალური ურთიერთობის საკითხი —ბრძოლა კაპიტალსა და შრომას შორის.

ის თვით თამაშობდა ამ პიესაში და თამამად წარმოთქვამდა მამხილებელ სიტყვებს მშრომელების დამძორავებელთა წინააღმდეგ. ეს პიესა დადიანის მიერ შედგენილი მოგზაური დასს თან დაჰქონდა საქართველოს ყველა კუთხეში და საქართველოს საზღვრებს გადალმაც. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა გამაძხმაურებას პოებდა ის მშრომელთა შორის.

შალვა დადიანი, როგორც მწერალი, ჯერ კიდევ შესაფერისად შეფასებული არ არის ჩვენი კრიტიკის მიერ. პირიქით, აწ განსვენებული „რაპპი“ არა თუ ჩრდილქვეშ აყენებდა, მწერლობიდან ამოშლასაც უპირებდა ამ შესანიშნავ ოსტატს —მონუმენტალური რომანის „უბედური რუსის“, მრავალი მოთხრობის და პიესის ავტორს.

არსებობს ერთი ჰანგი, რომელსაც საქართველოში ყველგან ამობენენ. ეს დიდი ხანია მეერიად მეოცნებე გოგონებიც, სიცოცხლითა და ბრძოლის უნარით სავსე ჭაბუკებიც. ამ ჰანგის სიტყვები მზნეა. ის უმღერის სიცოცხლეს, სამშობლოს სიყვარულს.

ოდესღაც მას ნიღაბი ჰქონდა აფარებული, ისევე, როგორც აკაკის „სულიკოს“. მაგრამ იქ, სადაც ხალხის ცოცხალი გულის ფეთქა იყო, გრძნობდნენ მის ფარულ ძალას და გამოხმაურებას პოებდნენ:

„მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის მოუცია მაღლიდან ღმერთს“...

ეს სიმღერა ძველია. ათიოული წლები გაისმის ის ჩვენში, მაგრამ იშვიათად თუ ვინმემ იცის, რომ მისი ავტორია რომანოსტატ და დრამატურგი შალვა დადიანი.

ამის მეტი ლეჭში დადიანს არც დაუწერია. მაგრამ ამ ერთისაც მღერის ხალხი და თავის გულისთქმას აქსოვებს შიგ. ეს ლეჭში შალვა დადიანს შეუძლია ეპიგრაფად წაუმძღვაროს თავისი ცხოვრების აღწერას, თუ კი ოდესმე დასწერა.

მართალია, რაც ბუნებამ მისცა ამ კაცს, მან მხოლოდ ერთ რამეს ამსახურა: სამშობლოს მომავალს, მის კეთილდღეობას.

განვლილი ცხოვრებისათვის, წარსული და დღევანდელი მეშობისათვის უფრო უკეთეს ჯილდოს, ვიდრე ის, რომ ხალხმა ნდობა გამოუცხადა და საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს წევრად დაასახელა, მე მგონია, შალვა დადიანი ვერც წარმოიდგენდა.

ამით ღირსება გვემატება ჩვენც, მის კოლეგებს მწერლობაში. ეს გვაალებს, ჩვენც მეტი პატიოსნებით ვემსახუროთ ხალხს და მისი მედროშის, მისი იმედის, საყვარელი ბელადის დიდი სტალინის საჭმეს.

აჩრჩევნებისკენ

ვალერიან გაფრინდაშვილი

დიდ მიღწევების მრავალ ტევნებით
დამშვენდა ჩვენი ცხოვრების ბაღი.
ამოდის, ბრწყინავს მზე არჩევნების
ისმის მშრომელთა სიმღერა ლღი.

ხალხი წინ მიდის—მთლად აგზნებული
ამ ოკეანის ვარ ერთი ტალღა,
ხელჩაკიდული ჩვენი კრებული
არჩევნებისკენ მიილტვის მაღლა.

ერთბაშად მივჭრით მკერდგაშლილები,
რომ მივესალმოთ სანატრელ ბელადს,
ხალხის ერთგული, მტკიცე შვილები
რომ ავირჩიოთ ქვეყნის მზრუნველად.

დიდი კავშირი ერთხმად გუგუნებს,
და ჩვენი ხმების მძლე სიმფონია,
რომელიც ფარავს ამ საუკუნეს,
მთელ მსოფლიოში გასაგონია.

არ შეჩერდება ეს ხმა ძლიერი,
გადასჭრის საზღვრებს თვისი ფრთებით,
იგი — უსაზღვრო და ბედნიერი
შორ მებრძოლთათვის იალებს შვებით.

ეს თეთრ ლრუბლებით გადაისერა,
როგორც ვარდების მრავალ კონებით.
ეს არჩევნები არის სიმღერა
გამარჯვებული მილიონების.

გრძნობათა ღელვა და აზვირთება,
ჩვენი გულისთქმა—საყიარელ ბელადს.
არჩევნების მზე წითლად ინთება
და აღტაცებით დაგვნათის ყველას.

აბრეშუმის მქსოველ ქალს

ეთერ მაზანაშვილს

სანდრო ეული

ვნაზე ქალი, პირმეინარი,
ხალგაზრდა ქალო,
მას სახეზე ეფრქვევოდა
ცეცხლის ნაპერწკალი, —
მის თვალებში ეკითხულობდი
შავ წარსულის ამბებს, —
როცა ბოღმა აწვა მის გულს,—
გულს დღეს რომ იამებს, —
უტრირა ცხარე ცრემლით,
როცა იყო მწყემსი,
როცა მთელი დღე დილიდან
არ ეგემა ხემსი.
მაგრამ მწყემსი ქალის გული
იმედს არ კარგავდა,
ოცნებობდა და მომავლის
ყოფის ჰანგებს თხზავდა.
ერთხელ მამამ უთხრა: „სოფლად
შენი ყოფნა ,ამარ“.
დედამ რომ ეს გაიგონა
ცრემლი გადმოღვარა.
დარიგება მისცა ეთერს,
თავის ქალს, პატარას, —
ეთერი კი ამბავება
ძლიერ გაახარა. —
იმ დღიდან მან სწავლასა და
შრომას მიჰყო ხელი
იმ დღიდან მან მოიპოვა
ქება და სახელი. —
აბრეშუმის მქსოველთ შორის
მოწინავე ქალი,
ხალხის ნდობით აღჭურვილი
გახდა ქვეყნის თვალი.
ჩვენი ოლქის არჩეული
დეპუტატი ხალხის.
წითელ დროშას მტრის წინაშე
არასოროს არ დახრის. —
დიდ ბელადს წინ წარუდგება
მოახსენებს ასე:
—დღეს შენით ფეთქს ხალხის გული
ნეტარებით სავსე —

ანდრო წიკლაური

სოლომონ თავაძე

დაბრილი მებრძოლებით სავსე სანტიტოური მატარებელი ბალაჯარაში ჩარჩა.

გაიგეს ეს ტყვედ ჩავარდნილმა უმწეო ადამიანებმა და ვაგონში ჰაერი შეიხუთა, უსაშველოდ დამძიმდა.

ხილული ქვანირება, ლაღი და ცხოველმყოფელი, თითქა არარაობამ მთანთქა. დარჩა ეხლოდ ყრუ ტკივილი და საშინელი მოლოდინი: ენით გამოუთქმელი წამება და ვაჟკაცისათვის აუტანელი დაცვირება გამხეცებული მტრების ბანაკში...

ეს იყო 1918 წელს, როდესაც ბაქოს პროლეტარიატი შეუდგებელ ბრძოლას აწარმოებდა მუსავატელებთან, იმპერიალისტების სისხლიან ბანდებთან.

ვაგონში ერთმა ახალგაზრდა მებრძოლმა აბრახებში ჩაყრილი ბავშვივით ძლივს წამოსწია თავი და უნებლიეად კვნესა აღმოხდა.

— ესსუ! — ესსტაკად წამოიძახა მის გვერდით მწოლმა, და ერთხანს ტკლავ მძიმე დუმილი გამეფდა.

— რას მაჩუმებ? — ვერ აიტანა დუმილი ახალგაზრდამ. — სთქვით, ამხანაგებო, რამე! ნუ თუ არაგითარი სამეული არაა?..

— მოვლენ აგერ და გაიგებ!..

მკაცრი იყო ეს პასუხი, ხმაც მკაცრი იყო, თან სიმამაცისა და სიამაყის ელვიც იყო შიგ ჩაქსოვილი: „ვებრძოლს უსასოო გოდება არ შეპფერის, თუ სიკვდილი აუცილებელია, გმირულად დავიხოცებით... ისე კი, ვინ იცის, ეგებოს ამხანაგებმა აქაც მოგვაწვდინონ ხელი“. — ოდეესაღაც მეტუველებდა თითქოს ეს მკაცრი ხმა, მძიმედ დაჭიდი მუშის ხმა, მისი ამთებული თვალები, უტეხი ნებისყოფის ცეცხლით მოკიაფე.

ბრძელ ვაგონში ჩამწყრეებულ საკაცეებზე გარინდებულნი დაჯარილებმე მყისვე იგრძნეს იმ მკაცარ სიტყვებში ჩაშალული ვაჟკაცური სიმტკიცე და ამხანაგს თანგარძნობით მიაპყრეს თვალები.

ახალგაზრდა მებრძოლსაც მხნეობა შეპატა ამ მკაცრმა ხმამ, მხოლოდ მთლიანნად კი ვერ მოაშორა ,ეთოს შემოწოლილი მწეადე ტკივილი. ინანდან ზოლი მისი არსება, სიცოცხლეს მოწყურებული სხეული, მკურნალობასა და ადამიანურ მოვლას მოითხოვდა.

აქ კი ირგვლივ მტრის ბანაკია. საცაა მართალა მოვლენ და დაიწყება ვაჟკაცისათვის აუტანელი დამცირება და წამება...

✠

სწორედ იმ დროს ბაქოში ამხ. სტეფანე შაუმიანმა ვინენის თვალით შეარჩია ყველაზე უფრო მამაცი მეამანქანე, თავისთან მიიხმო და დაიაკლა, რათა სანეტარული მატარებელი, დაჭრილი მებრძოლებით სავსე, ქტრე ბისათვის ხელიდან გამოეგლიჯა.

ტანმაღალია ეს მეამანქანე, მხრგანიერი. შავგვრემანია და თმაც გიმერივით შავი აქვს. თიანელია და გული და თვალიც ისეთივე ფხიზელი და ვამეჩიანი აქვს, როგორიც იმ არწივს, რომელიც თიანეთის მთებზე გადაეჭიოლებს ხოლმე.

კარგად იცის, რომ ამ დავალების შესრულება ერთთან ძნელია, მაგრამ ის მაინც უყოყმანოდ აკიდა ორთქლმავალზე, ბმეიდან შეათვალიერა მექანეზეები, დაწკურული თვალებთ ბანდელ სიბნელეში ვაწოლილ ლიანდაგს და გზას გაუდგა.

ირბეთან თუ შეაჩნიეს და მომაწვნენ ორთქლმავალივით ვერ შეიპარა სადგურში, მაშინ ტყვედ ჩავარდნილ ასეულ მებრძოლს და თითონ მასაც აუცილებელი სიკვდილი მოელის, კარგად იცის ეს თიანელმა ვაჟკაცმა და სადაც, ბონენის ერთ ეკონომიურში, თავისთავად გაფილებს ბავშვობადანვე შესისხლხორცებული ფრაზა:

„სჯობს სიცოცხლეს ნაძრახსა“...

ამიტომაა, ორთქლმავალი რომ ასეთი გულდამშვიდებით მიჰყავს. ითქმა ჩვეულებრივ რეისს აკეთებდეს...

აი უკვე ბასიკლად ისრებს... დინჯად. ეუჩქარებლად ბაქოს ორთქლმავალი სანიტარიულ მატარებელს...

სადგურში და მის ახლოსმახლო სთარავდ შეშეერეული ჯარისკაცები ბრეგაან. ხანგამშვებით ბრეშეყვანილ სამოსში გავოწყობილი ოფიცრები ბედიდურად ჩაივლიან, ეერცხლეთვთ გაპრიალებულ დეზებს მიარწყეტნებენ.

სტეფანე შაუმიანის მიერ შერჩეულმა მემანქანემ ფრთხილად, უხმაოურად დასძრა მატარებელი, დასძრა და მთელი თავისი ოსტატობით უმატა სისწრაფეს...

ბოლს მოვიდნენ დამპყრობელნი, ასტეხეს ირეული ყიჟინა და სროლა, მაგრამ ოკეი გვიან იყო: თანეეთელი ვაჟკაცი ზღაპრული რაშივით მიაქროლებდა ბაქოსაკენ დაჭრილ ამხანაგებით სავსე მატარებელს...

ახალგაზრდა მებრძოლი არც ისე ძმიმედ იყო დაჭრილი, რომ, უსაზღვრო სიხარულით აღტაცებული, ეს ბრძოლა ბრძოლა ეყო ამ ბიჭისათვის ბელადად ბრძოლა. ბაქოს ბოლშევიკებს

ეთერ მაზანაშვილი

დევნა შენგელაია

ალაყაფის კარებიდან ასფალტის სწორი გზა აბრეშუმის საქსოვ ქარხნის კორპუსისაკენ მიემართება. გზის მხარმარცხნივ გამართულია მყუდრო და ერთი ლამაზი ბაღი, შუა ბაღში დადგმული თეთრი ქვის ობელისკი ისარივით შეეჭიალა ცაში და თვალს საამოდ ეალერსება. აქედან ხელის გულივით მოსწრას კარგა დიდი ნაწილი თბილისისა, ასფალტი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, ახალ ქუჩებზე ლავლავებს ქვალი ზ.ჰეპოდან მოვარდნილ ელექტრონსინათლისა.

წყალდიდობის დროს გიგი და ვრცელი ვერის წყალი ბეტონში გათანგული და ზედ გრანიტის ხიდია გადაჭეული გუშაგად ჩამსხდარ ფრთაგაშვლილ ვრიფონებით ვერის ბაღეში, საიდანაც ქეიღად მოისმოდა ზარება—ორნებისა და ლოოტების ჭიკჭიკინ-ღრიანცელი, ახლა ზოოპარკია გაშლილი და ეს ადგილი ჩვენ ბედნიერი ბავშვების საყვარელ ადგილად ქცეულა. მტკვარზე გატაკრეფილა ჩილიოსკინელთა ქვის უზარმაზარი და ულამაზესი ხიდი, გაშენებულია ახალი უბანი: შესანიშნავი მოეფნთ, კინოთი, თეატრმეტსართულიანი სახლით.

ყოველივე ეს არაფრით არა ჰგავს იმ დროს, რომელიც თითქმის გუშინ ყოფილ. მაშინ ეს უბანი ქალაქის ბანაპარა კუთხედ ითვლებოდა. აქ, ამ ადგილას ამ ასი წლის წინად იმდენად სამაგალი გზა იყო, რომ მეფე ნიკოლოზ პალკინს კალასკა გადუბარეწია. მას შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ეს ადგილი უდაბურად და უპატრონოდ იყო მიგდებული. აქ კაპიტალისტ ბოზაროვიანცის თამბაქოს ქარხანა იდგა და მისი ორი შვილი მუდამ მცველი ლეკისა და გუეერნერის თანხლებით გამოდიოდა გარეთ, ქალქით შეპყრობილი ქარხნის მუშები, დაღლილ-დაქანცულნი და მშერეტ შუაუბეალნი დღეს ოფლსან ასწორებდნენ წელგაუმართავ მუშობაში.

მაშინ აქ, მუშებთან, მოდიოდა ახალგაზრდა მასწავლებელი. ისინი ბატაკებით ისმენდნენ მის ციცხლოვან სიტყვებს, ეს სიტყვები მათ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ეს მასწავლებელი ჩვენი დიდი სტალინი იყო, რომელიც აქ არაოფიციალურ მუშაობას ეწეოდა და აი, ამ დიდი ბრძოლისა და მუშაობის მოსაგონარად არის ამართული ეს თეთრი ობელისკი.

ახლა აქ, აბრეშუმის საქსოვ ქარხნის პარტიულ კომიტეტში, მუშაობს ეთერ მაზანაშვილი — კანდიდატი საკავშირო საბჭოს დეპუტატობისა თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქიდან.

ის 28 წლის ქალია, შავგვრემანი, ჰირმოგვალი, უკან გადაყრილი შეკრეჭილი თმით, რომელიც იმდენად შავია, რომ ტელეფოსნის მილაკი ძნელად გამოირჩევა მისი თმის შავფონზე.

პარტკომში მუშები ერთი მეორეზე შემოდიან, აი მის მაგიდასთან ჯდება ახალგაზრდა მუშა ქალი, ნამტირალევი თვალებით, ის დიდად არის შეწუხებული, პირდაპირ და უბრალოდ მიმართავს თავის ეთერს:

— ეთერ, მე შენთანა ვარ!

და ზეხარად უამბობს რაღაც ძალზე პირადულს. ლაპარაკობს, ხან ზმაღ არის იტირის, ხან მის სახეზე იელვებს ოდნავ შესამჩნევი ღიმილის ჩირი, ხან კი რისხვით მოითხრობს თავის გულის ტკივილს.

ეთერ ყურადღებით უსმენს, ზუნარად აძლევს პასუხს და ლაპარაკობს დინჯად, უფრო კი მკაცრი კლოთი, მერე ამშვიდებს და, ბოლოს რაღაცას ეუბნება ხუმრობით, გაეხუმრება ისე მოსწრებულად, რომ ორივეს თავდავიწყებით გაეცინება. მუშა ქალი ადგება, კმაყოფილებით გადახედავს თავის ეთერს და საამქროსაკენ მხიარულად თვალით ეხლა მედგებულად გაეშურება.

დირექტორი, დაწინაურებული ოსტატი, დარაჯი,—ყველა შემოდის აქ. ამ ოთახში, რომ მოელაპარაკოს პარტიული კომიტეტის მდივანს თავის გადაუდებელ საქმეებზე, მოდიან სათათბიროდ, მოდიან რჩევისათვის და საჩივრებით.

აი ვარდისფერ ბამბაზიის კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა გოგონაც შემოვიდა. ეს ნინო აგაშენაშვილია დღეშეთის რაიონიდან ჩამოსული ელეჭის ქალი. ახლა ქარხნის მუშაა, მუშფაკის მსმენელი და დამწყები პოეტი.

პარტკომის მდივანი ამაყად მაცნობს:

— ამან ერთი ლეჭსი დასწერა ესპანელებზე, როცა ისინი ჩვენთან იყვნენ სტუმრად, იმდენად მოიწონათ, რომ თან წაიღეს. ალბათ, აქ სთარგმნიან და დაბეჭდავენ კიდეც.

პოეტი გოგონა, რომლის გულწრფელი და ანთებული სიტყვებიც ალბათ ახლა რესპუბლიკელთა არმიის მებრძოლებს აქეზებს ბრძოლაში, 19 წლისაა. ამასაც ეთერისთან აქვს საქმე, მაგრამ მის ირგვლივ შემოკრებილი ხალხი რომ დაინახა, იქვე, კუთხეში, მიჯდა და გაკვეთილის მზადება დაიწყო, იგი საღამოს მუშაკაცი სწავლობს. მისი ლექციებიც და სწავლაც ეთერის მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს.

ამ გოგონის განვითარებას, ისევე, როგორც სხვა მრავალი მუშის წარმატებას ეთერ მაზანაშვილი დიდის ყურადღებით ეპყრობა. მას უსაზღვროდ ახარებს ხალი ადამიანი, ეს ბედნიერება ეთერ მაზანაშვილი ადგენს, ეს ბედნიერებაა ეს, თუ პირად ცხოვრებაში. ასეთი გაფაციცებით თვალყურს ითვალთვალებს, ეს ბედნიერებაა, ეს ცხოვრებისა და თავგადასავლის მსგავსებას,

ეს თავგადასავალი ჩვეულებრივია. სოფელი, უკიდურესი სიღარიბე, მამის მოჯამაგირეობა, ოცნება ქალაქზე და, უნდა ითქვას, რომ ეს ოცნება მალე ეახდა ეთერს. ჯერ კიდევ ბავშვი, მამის უნებურად ჩამოვდა თბილისში, აქ ის მოწაფედ მოეწყო საკარხნო-საფაბრიკო სკოლაში. სადაც რამდენიმე კულტურული საქმოვი მანქანა იდგა, ამ მანქანებზე ისინი ხალიჩებს ქსოვდნენ.

— ჩვენ ოქ ერთი ნოხი მოგვსოვეთ, ზედ ლეხინის პორტრეტი იყო გამოყვანილი... ეს ნოხი ისეთი კარგი გამოვიდა, რომ გამოფენაზეც ეწაიდეს.

1924 წელს მან განცხადება შეიტანა კომკავშირში, მაგრამ როგორც ეცირე წლოვანი, არ მიიღეს.

— უუუ, რამდენი ვიტირე მაშინ!.. ეს ღამეს დარდით ირა მიძინია. შემდეგ წელს ეთერს ეს ოცნებაც აუხდა. სწავლობდა შესანიშნავად, მუშობდა კიდევ უკეთესად და მალე საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა.

1928 წელს ის რამდენიმე ამხანაგთან ერთად ქარხანაში შეეიდა მუშად.

მცირე ვადამზადების შემდეგ ახალ მუშებს თავთავისი დაზგები მიუჩინეს, მაგრამ ახალ არა ეკეჩარული, არამედ ნამდვილი, მექანიკური.

მაზანაშვილი ერთი პირველი კომკავშირელთაგანი იყო, რომელმაც ქარხანაში ოჯარიდი დაარსა, აირჩიეს ბიუროს წევრად და ყველაფერი ეს თავის ცოცხალ ხასიათს და ენერგიას ამჟღავნებდა.

მის მიერ შექმნილი კომკავშირელთა საამქროო აქამდეც არსებობს და იგი მუდამ მოწინავე იყო და არის ახლაც, — არასოდეს მას არ დაუცია მოწინავე საამქროს საპატიო სახელი.

1930 წელს ის პარტიაში შეეიდა და ეს სასიხარულო დღე აღნიშნა იმით, რომ პირველი გადაედგა წყვილ დაზგაზე სამუშაოდ. მას კომკავშირელთა მთელი ბრიგადა მიჰყავა.

საქართველოს ცაცში მუშაობისას ეთერს არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი ქარხანასთან. 1936 წელს იგი კვლავ დაბრუნდა ქარხანას, როგორც ზონალ სტახანოვური მეთოდების ერთი პირველი შემომღებელი, ტახანოველის საპატიო დროშა მას ამაყად ეპყრა ხელთ უკანასკნელ ხანებამდე. სულ ახლო ხანს იგი ქარხანაში ოჯარიდი დაარსა, აირჩიეს ბიუროს წევრად და ყველაფერი ეს თავის ცოცხალ ხასიათს და ენერგიას ამჟღავნებდა.

მის მიერ შექმნილი კომკავშირელთა საამქროო ახლაც ბრიგადა ყოფილა ფაქტობრივ ბრიგადა ეწოდა ეს ბრიგადა ეს ეს ეს

ძველი და ახალი

როდიონ ქორქია

მაღარის შესასვლელთან ჰატარა მოედანზე ბიგეზია დაწყობილი, ბიგეზზე ფაფარიანები დასმულნარა და ლრეზის მოლოდინში შემოდგომის მაღალ მზეს ეფიცხებიან. რიგი გაზეთის ყოფილობს, რიგი ბაპრიზს ნეიტრალურ ადგილზეა შეფაფუტებული, ნოსტეკ მაღარიოლს შემოგეკიდა და ეფლასთან ეესმენს.

მოხეკილი მაღაროელები ძველი მეოთმანეებია. ყველანი. ბაღალბრიზს და დინ-ჯალ ფუვეზა ბარდასმული ფერთვა ზორსწყალულ ამბებს. ტეკიანა, დროს მოსაკლავად ვდ რიდი ლაბორატის ფელი მაღაროელნი. ის ზორიდან ეფიზნეზს და მიზანივ ზეტრდგ ამოფეკა.

ბეკე ამ ჯგუფს შეეფეთოდი. მოხეკილებენ მიეწეკი, ერთმა ბანალგაზრდა მუშამ ადგილი დამითმინა, თუმცა ადგილი იყო. ბოლოს ეკიანი ფანელი თვალებით ზეთოზეფდა, ამწარ-ფფაწონა, კრიამდენი წელია ეზეეზეს? ბაკრიმ ეერ ეიეზეფი. შავექვეს მტეკიი ისე ბალეფილდა სახის ნაოსეეზეზი, რომ ბანალეზეზ შეეძლებელი იყო, შეიძლება სამოცსა, შეიძლება ოთხმოცისაც ეყოფა.

მოხეკილმა ბგდასეედი თავის ალეტრარის და გასაკრძალა:

— შაგი ქვის ალმაჩენნა თუ მასხოლს? როგორ არა. ეი მაშინ ჰორტატეეეი ეკეზეკი ეიფეკა. შავექვის ალმაჩენა დიდი ამბავი იყო ძველი სოფლისათვის, ბორეკეფა ანც კი სეკრეფთი ფეზეეს? ეკეკეეე